

*კლავს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ (2 თებერვალი 2010 წელი)*

მინისტრთა კომიტეტს, ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებების 1136-ე შეხვედრისათვის

6-8 მარტი 2012 წელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი (EHRAC) წარადგენს წინამდებარე დოკუმენტს *სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და მეგობრული შეთანხმებების აღსრულების ზედამხედველობისათვის მინისტრთა კომიტეტის წესების მე-9 წესის მე-2 ნაწილის შესაბამისად.*

2011 წლის 30 მაისს საია-მ და EHRAC-მა მინისტრთა კომიტეტს წარუდგინეს თავისი მოსაზრებები *კლავს და იური კილაძეების საქმეზე* სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებით. მოსაზრება მოიცავდა შემდეგ რეკომენდაციებს:

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირებულობა მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მედია საშუალებებით, განსაკუთრებით იმ სატელევიზიო არხებით, რომელთა მაუწყებლობა ფარავს მთელს საქართველოს;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება რეგიონებში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის, ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ საქმის განხილვა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა შესაძლებელი უნდა იყოს რაიონულ სასამართლოებშიც;
- უნდა განხორციელდეს მონიტორინგი იმის დასადგენად რამდენად ექნებათ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა რეგიონებში მცხოვრებ;
- უნდა განხორციელდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკის მონიტორინგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>26</sup>-ე მე-3 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის განმარტებასთან დაკავშირებით (საქმის სასამართლოში წარმოებისათვის ამ პუნქტში ჩამოთვლილი რომელი დოკუმენტები იქნება მოთხოვნილი);
- უნდა განხორციელდეს საქმეთა მონიტორინგი, რათა დადგენილი იქნეს: ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით რამდენი სარჩელი იქნება წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოში; აღნიშნული სარჩელები შეტანილი იქნება

თბილისში თუ რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარების მიერ; რამდენი სარჩელი იქნება დაკმაყოფილებული; რა იქნება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები; რა იქნება მიკუთვნებული ფულადი კომპენსაციის ოდენობა და როგორ მოხდება მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება

გარდა ამისა, ჩვენ ვთხოვდით მინისტრთა კომიტეტს გაეგრძელებინა კილაძეების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი, რათა დადგენილიყო ეროვნული სასამართლოების მიერ საკანონმდებლო ცვლილებების გამოყენების პრაქტიკა და შემდგომ, კომიტეტს ჰქონოდა შესაძლებლობა შეეფასებინა ხდებოდა თუ არა ამ კანონების სწორი ინპლემენტაცია.

წინამდებარე მოსაზრების წარდგენით გვსურს მინისტრთა კომიტეტს ვაცნობოთ თუ როგორ მიმდინარეობს *კილაძეების გადაწყვეტილების* აღსრულების მიზნით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ცხოვრებაში გატარება.

საია და EHRAC -ი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ჩვენს 2011 წლის 30 მაისის მოსაზრებაში გამოთქმული ცალკეული რეკომენდაციები უკვე იმპლემენტირებულია სახელმწიფოს მიერ. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს გატარებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი თუ მათი პირველი რიგის მემკვიდრეები თბილისში, ისევე როგორც რეგიონებში ინფორმირებულნი არიან მათი უფლებების შესახებ მოითხოვონ ფულადი კონპენსაცია განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად (იხ. 2011 წლის 30 მაისის მოსაზრება, რეკომენდაცია 1). გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღარ ხდება სარჩელის წარმოებაში მისაღებად სამკვიდრო მოწმობის მოთხოვნა (იხ. 2011 წლის 30 მაისის მოსაზრება, რეკომენდაცია 4).

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური ნაბიჯები სახეზეა, ფულადი კომპენსაციის მიღების პროცესთან დაკავშირებით კვლავ რჩება პრობლემები. მიგვაჩნია, რომ მინისტრთა კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს შემდეგი საკითხების შესახებ:

**1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე სარჩელს განიხილავს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო.<sup>1</sup>**

---

<sup>1</sup> 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი, მუხლი 9.2 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 21<sup>26</sup> (2)

ჩვენს 2011 წლის 30 მაისის მოსაზრებაში გამოვთქვამდით წუხილს, რომ მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეების განხილვას მართლმსაჯულების აღსრულებისათვის შესაძლოა ხელი შეეშალა, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები რეპრესირებულებისა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის. ამ მიზნით, ჩვენი აზრით საჭირო იყო რეგიონებიდან შემოსული სარჩელების მონიტორინგი.

საია-მ 2011 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია, იმის შესახებ თუ რამდენი სარჩელი იქნა წარდგენილი სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით და რამდენ საქმეზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან (2011 წლის მაისი) წინამდებარე მოთხოვნის წარდგენამდე.<sup>2</sup> იმავე წერილით საია ითხოვდა ინფორმაციას თუ ამ სარჩელთაგან რამდენი იქნა სასამართლოში შეტანილი არა თბილისში, არამედ რეგიონში მცხოვრები რეპრესირებულისა თუ მათი პირველი მემკვიდრის მიერ.

სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის პასუხით საია-ს უარი ეთქვა რეგიონებიდან შეტანილი სარჩელის რაოდენობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, რადგან სასამართლოს განცხადებით, ის არ ახდენს ინფორმაციის ამ სახით სისტემატიზაციას.<sup>3</sup> გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მინისტრთა კომიტეტში 2011 წლის 6 სექტემბერს წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან სამ თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოში 2 500 სარჩელზე მეტი იქნა წარდგენილი, ამ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი რეგიონებში მცხოვრები ბენეფიციარების მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების რაოდენობაზე. შესაბამისად, ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა გაგვეგო, წარმოადგენს თუ არა სირთულეს რეგიონში მცხოვრები პირებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა. შესაბამისად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება მინისტრთა კომიტეტმა მოსთხოვოს საქართველოს მთავრობას ამ კუთხით სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ბენეფიციარების თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის საკითხის დადგენა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ უფლებას შეეხება.

რაც შეეხება ოთხი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში შესული სარჩელებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობას, სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის წერილის თანახმად, 2011 წლის მაისიდან 2011 წლის

<sup>2</sup> იხ. დანართი 1, საიას 2011 წლის 13 სექტემბრის წერილი

<sup>3</sup> იხ. დანართი 2, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის წერილი

სექტემბრამდე, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეების მიერ ფულადი კომპენსაციის მიღების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოში შესულია 3 073 სარჩელი. აქედან, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 73 საქმეზე.<sup>4</sup>

აღნიშნული სტატისტიკა თბილისის საქალაქო სასამართლოში გადატვირთულობის არსებობას ცხადყოფს. ამასთან, ფაქტია, რომ დაბალია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით შესული სარჩელების რაოდენობის თანაფარდობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59(3)-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვის ვადა საერთო სასამართლოებში არის 2 თვე, ხოლო განსაკუთრებულად რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელები არ განეკუთვნება რთული კატეგორიის საქმეებს, ამასთან, საქმის განხილვა უმეტეს შემთხვევაში ზეპირი მოსმების გარეშე ტარდება<sup>5</sup>, სასამართლოს აშკარა გადატვირთულობის გამო, შეუძლებელია დაცული იქნეს კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადები.

მნიშვნელოვანია, რომ კილამის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო ზომები რაც შეიძლება მალე უნდა ყოფილიყო გატარებული სახელმწიფოს მიერ, რათა ხანდაზმულ ბენეფიციარებს დროულად ესარგებლად მინიჭებული უფლებით (პარაგრაფი 85). მიუხედავად იმისა, რომ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები უკვე მოქმედებს, შიდა სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადების გაჭიანურება საგრძნობლად აფერხებს ხანდაზმული ბენეფიციარების მიერ მათივე სიცოცხლეში კანონით მინიჭებული უფლებით სარგებლობას.

ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის მოგვარება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადატვირთულობის შემცირებით შესაძლებელი იქნება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ერთად ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ სარჩელების განხილვის უფლებამოსილება რაიონულ სასამართლოებსაც უნდა მიენიჭოს. აღნიშნული, შეამცირებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადატვირთულობას,

<sup>4</sup> იხ. დანართი 2, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის წერილი

<sup>5</sup> 73 საქმიდან ზეპირი მოსმენით განხილული იქნა 21 საქმე, იხ. დანართი 4, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილი

რითიც დაჩქარდება საქმეების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ეს კი, ხელს შეუწყობს ხანდაზმულმა ბენეფიციარებმა თავიანთი უფლებებით სიცოცხლეშივე ისარგელობლონ.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის რეგიონებში მცხოვრებ ბენეფიციარებს დამატებითი ხარჯების (იქნება ეს საფოსტო მომსახურებისა თუ მგზავრობის ხარჯი) გაწევა სჭირდებათ, რომელიც მათგან განსხვავებით არ აქვთ გასაღები თბილისში მცხოვრებ მოსახლეობას.<sup>6</sup> ეს საკითხი ასევე მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უფლებას უკავშირდება, რადგან რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარების მიერ მსგავსი ხარჯების გაღება კიდევ უფრო ამცირებს სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ფულადი კომპენსაციის ოდენობას (ფულადი კომპენსაციის ოდენობაზე დეტალურად საუბარი იქნება ქვემოთ), რაც მათ ფაქტობრივად უკარგავს თავიანთი კანონიერი უფლების რეალიზების ინტერესს. ისინი ამ პრობლემის წინაშე არ იდგებოდნენ ფულადი კომპენსაციის თაობაზე საქმეებს ადგილობრივი სასამართლოებიც რომ განიხილავდნენ.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მინისტრთა კომიტეტისათვის 2011 წლის 6 სექტემბერს წარდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები ფულადი კომპენსაციის მიღების საქმეებზე გათავისუფლებული არიან სასამართლო ხარჯებისაგან, რაც ნიშნავს, რომ საქმეთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ მოსარჩელები ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის საქმეებზე არ იხდიან სახელმწიფო ბაჟს, რაც არ გულისხმობს, რომ ისინი საფოსტო, მგზავრობის თუ საქმისათვის საჭიროს დოკუმენტების შეგროვების ხარჯებისაგან არიან გათავისუფლებული.

**2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კვლავ გრძელდება ხარვეზის დაუსაბუთებლად დადგენა ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე, რაც აჭიანურებს სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვას და დამატებით პრობლემებს უქმნის ისედაც ხანდაზმულ ბენეფიციარებს.**

საია-ს იურისტების პრაქტიკაში არსებული საქმეები ცხადყოფს, რომ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარმოებაში მისაღებად თბილისის საქალაქო სასამართლო ხშირ შემთხვევაში მოსარჩელისაგან მოითხოვს წარდგენილი იქნეს იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ მათ გარდა არ არსებობენ გარდაცვლილი

---

<sup>6</sup> საფოსტო და მგზავრობის ხარჯები თბილისის მასშტაბით ნაკლებია, ვიდრე ხარჯები რეგიონიდან თბილისში მსგავსი მომსახურების დასაფარად; ამასთან, რეგიონებში მცხოვრებმა ბენეფიციარებს, განსხვავებით თბილისში მცხოვრები ბენეფიციარებისაგან, ამ ხარჯების გაღება აუცილებლად უწევთ.

რეპრესირებული სხვა პირველი რიგის მემკვიდრეები,<sup>7</sup> მაშინაც კი როდესაც სარჩელში პირდაპირ არის მითითებული მათი არ არსებობის შესახებ<sup>8</sup>, ანდა, როდესაც ყველა პირველი რიგის მემკვიდრე წარდგენილ სარჩელში უკვე მითითებულია თანამოსარჩელედ. როგორც წესი, თბილისის საქალაქო სასამართლო სარჩელს წარმოებაში იღებს მას შემდეგ რაც მოსარჩელე კიდევ ერთხელ წერილობით განმარტავს, რომ მის გარდა სხვა პირველი რიგის მემკვიდრე არ არსებობს, ან/და რომ ყველა მათგანი სარჩელში უკვე მითითებულია თანამოსარჩელედ.<sup>9</sup>

ვფიქრობთ, სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა ზედმეტია და მხოლოდ საქმის განხილვის გაჭიანურებას ემსახურება მიზნად.

### **3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით რეპრესირებულებისა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის მიკუთვნებული ფულადი კომპენსაცია არაადეკვატურია.**

საია-მ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია თუ რას შეადგენს მიღებულ გადაწყვეტილებების მიხედვით ფულადი კომპენსაციის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობები.<sup>10</sup> თუმცა, თავდაპირველად ამ ინფორმაციის მიღებაზე გვეთქვა უარი.<sup>11</sup> განმეორებითი მიმართვის შემდეგ<sup>12</sup>, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გვეცნობა, რომ ფულადი კომპენსაციის მინიმალურ ოდენობას შეადგენს 200 (რაც შეადგენს დაახლოებით 93 ევროს), ხოლო მაქსიმალურს 500 ლარი (რაც შეადგენს დაახლოებით 232 ევროს).<sup>13</sup>

---

<sup>7</sup> იხ. დანართი 5, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 აგვისტოს განჩინება ხ. მახარაძის სარჩელზე ხარვეზის დადგენის შესახებ; ასევე, იხ. დანართი 5, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინება ჯ. ასათიანის სარჩელზე ხარვეზის დადგენის შესახებ

<sup>8</sup> იხ. დანართები 6, ხათუნა მახარაძის სარჩელი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ და განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ; იხ. ასევე დანართები 6 და 7, ჯ. ასათიანის სარჩელი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ და განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ

<sup>9</sup> იხ. დანართი 7, ხ. მახარაძის და ჯ. ასათიანის განცხადებები ხარვეზის შევსების შესახებ

<sup>10</sup> იხ. დანართი 1, საია-ს 2011 წლის 13 სექტემბრის წერილი

<sup>11</sup> იხ. დანართი 2, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის წერილი

<sup>12</sup> იხ. დანართი 3, საია-ს 2011 წლის 30 სექტემბრის წერილი

<sup>13</sup> იხ. დანართი 5, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილი

ოფიციალური წერილობითი პასუხისაგან მცირედ განსხვავებულ პასუხს იძლევა საია-ს მიერ გაკეთებული თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი.<sup>14</sup> კომპენსაციის მინიმალური ოდენობა ცალკეულ შემთხვევებში შეადგენს 100 ლარზე ნაკლებს (რაც შეადგენს დაახლოებით 46 ევროს),<sup>15</sup> ხოლო მაქსიმალური ოდენობა არის 400 ლარი (რაც შეადგენს დაახლოებით 186 ევროს). 400 ლარიანი კომპენსაცია მიეცემათ იმ რეპრესირებულთა პირველი რიგის მემკვიდრეებს, რომელთა მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.<sup>16</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა სახელმწიფოს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის თანახმად, საერთო სასამართლოების დისკრეციაში ხვდება, მიგვაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებით მიკუთვნებული მინიმალური ფულადი კომპენსაციები არ შეესაბამება 2011 წლის მაისის თვეში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს და მოთხოვნებს.

1997 წლის 11 დეკემბრის კანონსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ფულადი კომპენსაციის ოდენობას, იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ადგენს სასამართლო<sup>17</sup>. 2011 წლის მაისის თვეში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებში აღნიშნული დებულების გათვალისწინებით კანონმდებელი მიზნად ისახავდა საერთო სასამართლოებს ინდივიდუალური საქმის გარემოებების შეფასებით განესაზღვრათ ფულადი კომპენსაციის ოდენობა თითოეულ საქმეზე. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი

---

<sup>14</sup> სულ შესწავლილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 10 გადაწყვეტილება

<sup>15</sup> იხ. დანართი 8, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება. საქმეში რეპრესირებული პირის სამი შვილი - პირველი რიგის მემკვიდრეები, თანამოსარჩელებს წარმოადგენდნენ. სასამართლომ ფულადი კომპენსაციის სახით მათ 290 ლარი მიაკუთვნა, რაც თითოეულ მათგანზე შეადგენს დაახლოებით 97 ლარს.

იხ. დანართი 8, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება. საქმეში რეპრესირებული პირის ორი შვილი (პირველი რიგის მემკვიდრეები) წარმოადგენდნენ თანამოსარჩელებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ ფულადი კომპენსაციის სახით მიეკუთვნათ 260 ლარი - ანუ თითოეულ მათგანს 130 ლარი.

<sup>16</sup> იხ. დანართი 8, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 აგვისტოს და 2011 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებები ზეინაზ ბურდიაშვილის და ნოდარ ჭანკვეტაძის საქმეებზე შესაბამისად; იხ. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება ენრიკო მაჭარაშვილის საქმეზე

<sup>17</sup> მუხლი 9.4, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი და მუხლი 21<sup>29</sup>.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ცხადყოფს, რომ სტანდარტულად, გადაწყვეტილებათა თითქმის მთლიანი ტექსტი საქართველოს კანონმდებლობისა და კილამეების საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ციტირებას ეთმობა და თითოეულ საქმეში მხოლოდ რამდენიმე ხაზი შეეხება განსახილველი საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში საერთოდ არ არის ნახსენები მოსარჩელის (რეპრესირებულისა თუ მისი პირველი რიგის მემკვიდრის) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ასევე, გაურკვეველია, თუ რა გარემოებებს აფუძნებდა მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას. ნაცვლად ამისა, გადაწყვეტილებაში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ თავად მოსარჩელე ან/და მისი მშობელი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი არსებითად შაბლონურია. მაგალითად, ფაქტია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე ყურადღების გამახვილების გარეშე, აკუთვნებს 400 ლარიან (რაც დაახლოებით 186 ევროს შეადგენს) ფულად კომპენსაციას იმ რეპრესირებულთა პირველი რიგის მემკვიდრეებს, რომელთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა იქნა გამოყენებული. შიდა სასამართლოების ამგვარი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება 2011 წლის მაისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს, რომლის მიხედვითაც, ფულადი კომპენსაციის ოდენობა, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით საერთო სასამართლოებს უნდა განესაზღვრათ.

ნებისმიერი ობიექტური შეფასებით, სასამართლოს მიერ მიკუთვნებული კომპენსაცია არის მინიმალური და არცერთ შემთხვევაში არ არის მსხვერპლთა მიერ განცდილი ტანჯვის თანაფარდი. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ სტანდარტული ფულადი კომპენსაციების მიკუთვნება საფრთხეს უქმნის კანონმდებლის მიზანს, მომხდარიყო მსხვერპლთა მიერ განცდილი ტანჯვის აღიარება და ფულადი კომპენსაციის ოდენობა განსაზღვრულიყო მსხვერპლისა თუ მისი პირველი რიგის მემკვიდრის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

თუკი კანონმდებლის განზრახვა მოსარჩელებისათვის წინასწარ განსაზღვრული, სტანდარტული ოდენობების მიკუთვნება იქნებოდა, ალბათ საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო ამ სახის საქმეებზე სასარჩელო წესით სასამართლოსათვის მიმართა, არამედ მსგავსი უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე უწყებას უნდა შეესრულებინა. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული სასამართლოს გადატვირთულობაც და ბენეფიციარების მიერ თანხების მიღებაც არ გაჭიანურდებოდა.

შიდა სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა მიმართულია იმისკენ, რომ ინტერესი დაუკარგონ რეპრესირებულებსა თუ მათი პირველი რიგის მემკვიდრეებს ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებით. იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა ხანდაზმულია, რის გამოც, მათ, ხშირ შემთხვევაში, უჭირთ საქმის სასამართლოში წარმოებისათვის საჭირო საბუთების შეგროვება, ასევე, ხშირად არ აქვთ ამ საბუთების მოპოვებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობა, სასამართლოების მიერ მათთვის არაგონივრულად დაბალი თანხების მიკუთვნება ფაქტობრივად აზრს უკარგავს ფულადი კომპენსაციის მიღების უფლების არსებობას.

მიგვაჩნია, რომ შიდა სასამართლოების პრაქტიკა უნდა გადაისინჯოს და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე წარდგენილ სარჩელებზე გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის მაისში შესული ცვლილებების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ფულადი კომპენსაციის განსაზღვრა ხდება საქმის ინდივიდუალური გარემოებები გათვალისწინებით.

**4. რეპრესირებულებისა თუ მათი პირველი რიგის მემკვიდრეების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანისას ერთ-ერთ მტკიცებულებად წარმოადგენილი უნდა იქნეს შსს-ს არქივიდან გაცემული ცნობა დაინტერესებული პირის ან მისი წინაპრის მიერ განცდილი რეპრესიის შესახებ. აღნიშნული ცნობის წარუდგენლობა წარმოადგენს სასამართლოს მიერ სარჩელზე ხარვეზის დადგენის საფუძველს.<sup>18</sup>**

რამდენიმე თვის წინ ბენეფიციარებისათვის აღნიშნული ცნობის აღება შსს-ს არქივიდან იყო უფასო. თუმცა, 2011 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გაწეული მომსახურების საფასური დადგენის შესახებ," რომლითაც მსგავსი ცნობის გაცემისათვის დაწესდა საფასური 9 ლარის (რაც დაახლოებით შეადგენს 4 ევროს) ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ კანონით დაწესებული საფასური არ წარმოადგენს დიდ თანხას, უაღრესად შეჭირვებული, ხშირ შემთხვევაში პენსიონერი ბენეფიციარებისათვის, ამ საფასურის შემოღება წარმოადგენს დამატებით დაბრკოლებას სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის წარდგენისათვის.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ კანონში უნდა განხორციელდეს ცვლილება და რეპრესირებულები თუ მათი პირველი რიგის მემკვიდრეები უნდა გათავისუფლდნენ მსგავსი ცნობის აღების დროს დაწესებული საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

<sup>18</sup> იხ. დანართი 9, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 5 სექტემბრისა და 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებები ხარვეზის დადგენის შესახებ

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილით, 2011 წლის მაისიდან 2011 წლის სექტემბრამდე მიღებული 73 გადაწყვეტილებიდან სააპელაციო წესით გასაჩივრების გარეშე კანონიერ ძალაში შესულია 35 გადაწყვეტილება, რომელთაგან სააღსრულებო ფურცელი გამოწერილი იქნა 6 საქმეზე.<sup>19</sup>

საია-ს იურისტებთან კონსულტაციაზე მისული მოქალაქეები გამოთქვამენ წუხილს, რომ მათი მოთხოვნის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლო აჭიანურებს ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გამოწერას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა კიდევ ერთხელ უქმნის დაბრკოლებას ხანდაზმულ ბენეფიციარებს დროულად ისარგებლონ მათი უფლებებით.

ყურადსაღებია "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში 2011 წლის 17 ივნისს შეტანილი ცვლილება, რომლის თანხმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება განსაკუთრებულ შემთხვევაში - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.<sup>20</sup> აღნიშნული ფორმულირება იმდენად ფართოა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს უტოვებს ფართო დისკრეციას მისი გამოყენებისათვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ცვლილება არ გახდება რეპრესირებულებისა და მათი პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის მიკუთვნებული ფულადი კომპენსაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერების საფუძველი.

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია და EHRAC-ი მიიჩნევს, რომ *კილაძეების საქმეზე* მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურად აღსრულების მიზნით გატარებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ერთად, განისაზღვროს რაიონული სასამართლოები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან განიხილონ სარჩელები ფულადი კომპენსაციის მიღების თაობაზე

<sup>19</sup> იხ. დანართი 4, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილი

<sup>20</sup> "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ზ" ქვეპუნქტი

- გადაისინჯოს საერთო სასამართლოების მიერ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე სარჩელის წარმოებაში მიღების პრაქტიკა და ხარვეზის დადგენის საფუძვლები
- გადაისინჯოს საერთო სასამართლოების მიერ ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის პრაქტიკა
- რეპრესირებულები და მათი პირველი რიგის მემკვიდრეები გათავისუფლდნენ "შსს-ს არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის საფასურის დადგენის შესახებ საქართველოს კანონით", მათი ან მათი მშობლის მიერ რეპრესიის განცდის შესახებ ცნობის მისაღებად დადგენილი საფასურის გადახდისაგან
- უზრუნველყოფილი იქნეს ფულადი კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროული აღსრულება

#### დანართები

1. საია-ს 2011 წლის 13 სექტემბრის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის წერილი
3. საია-ს 2011 წლის 30 სექტემბრის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის წერილი
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 აგვისტოს და 2011 წლის 29 აგვისტოს განჩინებები ხარვეზის დადგენის შესახებ
6. ხ. მახარაძის და ჯ. ასათიანის სარჩელი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის შესახებ
7. ხ. მახარაძის და ჯ. ასათიანი განცხადებები სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების შესახებ
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები ფულადი კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის და 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებები ხარვეზის დადგენის შესახებ